პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 12 (12220) | კვირა, 14 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

„სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის ამაღლების, ასორტიმენტის გაფართოების, ვაჭრობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებების“ თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1960 წლის 16 ნოემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამას წინათ განიხილა საკითხი „სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის ამაღლების, ასორტიმენტის გაფართოების, ვაჭრობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებების“ თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ, ახორციელებენ რა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა ზოგიერთ წარმატებას მიაღწიეს. გაიზარდა საერთო პროდუქციის მოცულობა, ათვისებულია ახალი სახეობების ნაკეთობათა წარმოება და რამდენადმე გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

მაგრამ ამის გამო, რომ პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას სუსტად უწევდნენ კონტროლს რესპუბლიკის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, საქართველოს კპ რაიონული და საქალაქო კომიტეტები და სუსტად ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, მთელმა რიგმა სამმართველოებმა, ტრესტებმა და საწარმოებმა თავი ვერ გაართვეს პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

ბევრი საწარმო ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევს ნაკეთობათა გამოშვებას დაგეგმილი ასორტიმენტით. მთელ რიგ შემთხვევებში გრძელდება გამოშვება დაბალი ხარისხის პროდუქციისა, რომელზეც მოთხოვნილება არ არის, რის გამო ზიანი მოსდის მოსახლეობის მომარაგებას სამრეწველო საქონლით და საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას.

გასულ წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის ინსპექციამ შემოწმებული პირობითი ერთეულების საერთო რიცხვიდან დაბალ ხარისხებში გადაიყვანა, დაიწუნა, და გასასწორებლად დაბრუნა სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა სამრეწველო საქონლის 40 პროცენტი და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა საქონლის 77,8 პროცენტი.

დაწუნებული პროდუქციისა და ხელოვნურად ამაღლებული ხარისხის პროდუქციის მნიშვნელოვანი პროცენტი მოდის ქსოვილებსა და საფეიქრო-საცალო ნაკეთობებზე (57,2 პროცენტი), ავეჯზე (55,5 პროცენტი), შეკერილ ნაკეთობებზე (86,5 პროცენტი). კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სარეზერვო საქონელზე, რომელსაც ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოები უშვებენ, ეს პროცენტი 79,7-ს აღწევს, ამასთან ტყავგალანტერიის ნაკეთობებზე — 100 პროცენტს.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოების მიერ გამოშვებული ფართო მოხმარების საქონლის დაწუნება და დამრუნება 60—100 პროცენტს შეადგენს.

სახალხო მეურნეობის საბჭო, სამმართველოები და მთელი რიგი საწარმოები საკმაოდ არ უკეთებენ ანალიზს პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და შემარიგებლურად ეკიდებიან დაბალი ხარისხის ნაწარმის მნიშვნელოვანი ოდენობით გამოშვებას.

იმ საქონლის ბევრ სახეობაზე, რომელსაც მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები უშვებენ, 1961 წლის გეგმით დაშვებულია პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების შემცირება იმ დონესთან შედარებით, რაც მიღწეული იყო 1960 წელს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 1960 წლის გეგმასთან შედარებითაც კი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქუთაისის, ბათუმის, თბილისის №№ 2, 3, 4 და სხვა სატრიკოტაჟო ფაბრიკების ნაკეთობათა დაბალი ხარისხი.

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ხელმძღვანელობის (ამხ. რობაქიძე, ამხ. ყიფიანი) უყურადღებო დამოკიდებულების გამო მეტმა წილმა საწარმოებმა როგორც 1960 წელს, ისე 1961 წელს ვერ შეასრულეს დაგეგმილი ასორტიმენტის შესაბამისად პროდუქციის გამოშვების დავალება.

არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და ასორტიმენტის დარღვევის გამო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ბევრ საწარმოს მნიშვნელოვანი ოდენობით მოსდის ზარალი. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა თბილისის №№ 1 და 2 ფეხსაცმლის ფაბრიკებში, მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკაში, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, №№ 1, 6, 7 სამკერვალო ფაბრიკებში, ამრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, კამეოლ-მაუდის კომბინატში და სხვ.

სახალხო მეურნეობის საბჭოს და მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს დღემდე არ მიუღიათ გადამწყვეტი ღონისძიებანი, ტყავის საქონლის წარმოების ძირეული გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ აითვისონ და დანერგონ თანამედროვე ფეხსაცმელი ტყავის შემცვლელთაგან, რომელზეც მოთხოვნილებაა. ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი კალაპოტებისა და ფურნიტურის რესპუბლიკაში წარმოების საკითხი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ახალი მოდელების ფეხსაცმლისა და შეკერილ ნაკეთობათა ათვისებაზე.

მეტად ნელა ხორციელდება პლენუმის დადგენილება კვების პროდუქტების წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

ტრესტ „საკმაურკონდიტერის“ ხელმძღვანელობა (ამხ. წიკლაური) ჯეროვნად არ ეხმაურება ცუდად გამომცხვარი, ზედმეტი ტენიანობისა და სიმფავის პურის გამოშვებისა და სავაჭრო ქსელში შეტანის შემთხვევებს. იშვიათი არ არის შემთხვევები, რომ ცალობითი პურფუნთუშეული ნაწარმის წონაში დაკლება 1 კილოგრამზე 100 და მეტ გრამს აღწევს.

ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო (ამხ. ურუშაძე) ჯეროვან ღონისძიებებს არ იღებს საწარმოებში პირუტყვის გადამუშავების დადგენილი ტექნოლოგიური პროცესის დაცვისა და სამაცივრო დანადგარების სათანადო ტექნიკურ მდგომარეობაში მოყვანისათვის, რის გამო მცირდება ხორცპროდუქტების ხარისხიანობა. მომხმარებლთა მოთხოვნილებებს ჩამორჩება ასორტიმენტი და საგემოვნო თვისებები ძეხვეულისა, რომელსაც თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და სხვა ხორცკომბინატები უშვებენ. არის შემთხვევები, რომ რძის და ყველისა და რძის ქარხნები უშვებენ არასტანდარტულ პროდუქციას, რომელიც შემცირებული რაოდენობით შეიცავს ცხიმსა და მშრალ ნივთიერებებს.

პლენუმი აღნიშნავდა, რომ რესპუბლიკაში კვების პროდუქტებს ჯერ კიდევ ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით უშვებენ დაფასოებულსა და შესაბამისად შეფუთულს. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მეტად ნელა მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ავეჯის წარმოების მოცულობა გასულ წელთან შედარებით რამდენადმე გაიზარდა, კვლავ იგრძნობა ავეჯის, განსაკუთრებით მცირეგაბარიტიანი და საბავშვო ავეჯის მწვავე ნაკლებობა, კვლავ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ხარისხოვანი ავეჯის გამოშვების მხრივ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის, სოციალური უზრუნველყოფისა და ვაჭრობის სამინისტროების მეტ წილ საწარმოებში.

შესრულებული არ არის პლენუმის მითითება რესპუბლიკის ხისდამამუშავებელ საწარმოთა გამსხვილებისა და სპეციალიზაციის შესახებ, რის შედეგადაც ავეჯის წარმოებას კვლავ ეწევიან ექვსი უწყებისადმი დაქვემდებარებული საწარმოები, რაც აფერხებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, წარმოების კოოპერირებას, აგრეთვე არ იძლევა ავეჯის ხარისხის ძირეულად გაუმჯობესების შესაძლებლობას.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებელო, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოები (ამხ. ვადაბჭკორია, ამხ. ბოლქვაძე), თბილისის ქალაქის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო (ამხ. მოისწრაფიშვილი) ჯეროვან უურადღებას არ აქცევენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოების დავალებათა შესრულებას და ხშირად ურიგდებიან დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

რესპუბლიკის ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს გეგმით გათვალისწინებული 542 სახეობის ნაკეთობათაგან არ შეუსრულებია 240 სახეობის ნაკეთობათა წარმოების გეგმა, მათ შორის თბილისის ქალაქის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველომ 251 სახეობის ნაკეთობათაგან შეასრულა მხოლოდ 76 სახეობის ნაკეთობათა წარმოების გეგმა.

მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს მთელმა რიგმა საწარმოებმა (ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის მექანიკურმა, თბილისის 26 კომისრის სახელობის და სხვა ქარხნებმა) ფაქტიურად ჩაშალეს ფართო მოხმარების საქონლის ათვისებისა და გამოშვების გეგმა, ხოლო ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნებმა ქვეყანას მნიშვნელოვანი რაოდენობით დააკლეს ელექტროუთოები, ჯიბის ბატარეები და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სახალხო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისება და გამოშვება „სოფუზლავტორგის“ სრულიად საკავშირო მოდმივი პავილიონის საქართველოს ფილიალის ნიმუშების მიხედვით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს ვაჭრობის უკეთ ორგანიზებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლისათვის, უშვებენ შეცდომებს საქონლის დაკვეთასა და შემოტანაში, საკმაოდ არ იყენებენ ასორტიმენტის გაფართოებასა და საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაში მრეწველობაზე ზეგავლენის მოხდენის უფლებას, რაც მათ აქვთ მინიჭებული.

იმის გამო, რომ ვაჭრობა კარგად არ არის ორგანიზებული, არის შეუწყნარებელი შეფერხებები ისეთი საქონლის ვაჭრობაშიც კი, რომელიც საკმაო რაოდენობით არის როგორც მიმწოდებელთა ბაზებში, ისე თვით სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საქონლის ჩვენებას, რეკლამირებას, ნორმალურ შენახვას. საკმაოდ არ ხორციელდება საქონლის რესურსების მანევრირება და მათი ნამეტნის გადანაწილება სავაჭრო ორგანიზაციებს შორის.

ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ რა პლენუმის დადგენილებებით, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესება, ასორტიმენტის გაფართოება და ვაჭრობის გაუმჯობესება, გააძლიერონ იმ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობა, რომლებსაც ბრალი მიუდგეთ უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებაში, მიიღონ მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზეგავლენის მკაცრი ზომები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, შეიმუშაონ სპეციალური ღონისძიებანი იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, ბრიგადებისა და კოლექტივების მატერიალური და მორალური სტიმულირებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გაუმჯობესებული ხარისხის ახალ სახეობათა ნაწარმის ათვისებასა და მასობრივ გამოშვებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა ერთი თვის ვადაში მოამზადოს და წარმოადგინოს წინადადებანი ხისდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა გამსხვილებისა და სპეციალიზაციის შესახებ, განიხილოს იმ სამრეწველო საწარმოთა მდგომარეობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის საკითხი, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, და მიიღოს საჭირო ზომები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის განყოფილებას, ქალაქ თბილისის ვაჭრობის სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის სამმხმარებლო საზოგადოებათა კავშირების, აგრეთვე რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციებისა და სამეთაურო ბაზების ხელმძღვანელებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები სამრეწველო საწარმოებთან კავშირის განსამტკიცებლად და მათს მუშაობაზე ზეგავლენის მოსახდენად მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების მიზნით. სავაჭრო ორგანიზაციებს აეკრძალოთ მიიღონ სამრეწველო საწარმოებისაგან ისეთი საქონელი, რომელიც ასორტიმენტის, ხარისხისა და გარეგანი გაფორმების მხრივ დამზადებულია სავაჭრო ორგანიზაციების იმ შეკვეთების დარღვევით, რომლებიც მიღებულია მრეწველობის მიერ.

რესპუბლიკის პროკურატურის, ორგანოებს წინადადება ეძლევათ გააძლიერონ საპროკურორო ზედამხედველობა იმ პირთა გამოვლენისა და პასუხისგებაში დროზე მიცემისათვის, რომლებიც დაუშვებენ არასტანდარტული და უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს დავალათ სისტემატურად გააშუქონ პრესაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში საწარმოთა და უწყებათა მუშაობის საკითხები.

ლილი ხომასურიძემ ორი წლის წინათ დაამთავრა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და ხაგარეჯოს რაიონის სართიჭალის მერძევეობა-მეგობსტეროობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. კომკავშირელმა სპეციალისტმა აქ ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ფერმა, სადაც იგი მუშაობს, მოწინავეა მთელ რესპუბლიკაში. მეტი ხორცი და რძე სამშობლოს!—აი სართიჭალელთა ყოველდღიური საზრუნავი.

სურათზე: ლილი ხომასურიძე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანის (დირექტორი ი. ზერეკიძე, მთავარი ინჟინერი ა. მასხარაშვილი), **კონსტრუქტორებმა, რაციონალიზატორებმა და გამოცდილებამ მუდმივი ძიებითა და დაულალავი შრომით შეძლეს სერიულ წარმოებაში მყოფი ელმავლის გაუმჯობესება. შექმნეს ახალი ელექტრომავალი ტ-8**

ეს ელმავალი საბჭოთა კავშირში დღემდე გამოშვებულ ელმავალთა შორის **ყველაზე მძლავრია,** ელმავლის კონსტრუქციული სიჩქარე 100 კილომეტრია საათში.

პირველი ახალი ქართული ელმავალი უკვე გამოშვებულია და შვიდწლედის მეოთხე წლის პირველი დღეებიდან საწარმოო გამოცდას გადის ჩვენი დიადი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე.

ჯილდო—ოქროს მედალი და პრემია

მოსკოვი, 12 იანვარი. (საკდესი). 1960 წლის 9 თებერვალს დაწესდა თანამედროვეობის დიდი ფიზიოლოგისის იგორ ვასილის-ძე კურჩატოვის სახელობის ოქროს მედალი და პრემია. ჯილდოს ანიჭებენ თვალსაჩინო ნაშრომისათვის ატომური ფიზიკის დარგში.

დღეს გაიმართა ამ მედლის პირველი მინიჭება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი მდივნის ლ. ა. არციმოვიჩის მოხსენება. მან აღნიშნა, რომ იმ ნაშრომთა შორის, რომლებიც კონკურსზეა წარმოდგენილი, ყველაზე ღირსეულად აღიარებულია ნაშრომი ნეიტრონის ბეტა-დაშლის ექსპერიმენტული გამოკვლევის დარგში, რომელიც ეკუთვნის ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს პ. ე. სპიჯაკსა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ი. ა. პროკოფიევს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაადგინა მიენიჭოს ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ოქროს მედალი პ. ე. სპიჯაკსა და ი. ა. პროკოფიევს შორის.

მზადება არჩევნებისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. მაღაროებში, მშენებლობებზე და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში დამატებით გამოიყო ორასამდე აგიტატორი. ახლა პარტიის მართალი სიტყვა მშრომელებში შეაქვს 1.200-ზე მეტ აგიტატორს. პარტიის ქალაქკომმა შეიმუშავა არჩევნებისადმი მიძღვნილი ლექციათა მოხსენებების თემატიკა. პარტიის XXII ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის განმარტებასთან ერთად იდეოლოგიური დარგის მუშაკები მშრომელებს ესაუბრებიან საბჭოთა დემოკრატიზმის თანმიმდევრულ ხასიათსა და უპირატესობებზე.

ზეგეგმითი „შავი ოქრო“

ყვიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელიც კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოპოვებისათვის იბრძვის, წლის კირველი დღეებიდანვე ადიდებს საკოქსე ქვანახშირის ამოღების ტემპს. ამ შახტამ იანვრის პირველი დეკადის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. განსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიკოვა იმ საექსკლოატაციო უბანმა, რომელსაც თ. ახვლედიანი ხელმძღვანელობს. 126 პროცენტი! — ასეთია ამ უბნის მუშაობის პირველი დეკადის მაჩვენებელი.

შესანიშნავად შრომობენ სახელგანთქმული სამთოელები ბ. მიქაბერიძისა და ა. სიხარულიძის მეშახტეთა კომპლექსური ბრიგადები. იანვრის განვლილ დეკადაში მათ გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღეს ერთი ეშელონი „შავი ოქრო“.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე

დონის როსტოვი, 12 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა ჩრდილოეთ კავკასიის ზონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ი. ვორონოვი,** რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ს. პოლიანსკი.**

დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი დ. ს. პოლიანსკის მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: სტავროპოლის საბჭოთა მეურნეობა „იაგურსკის“ დირექტორი **ვ. ა. კორობეინიკოვი,** დონეცკის ოლქის პარტიის მარინიკის რაიკომის მდივანი **ზ. ნ. ბლუხოვი,** კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ურუპსკის“ მწყეფელი **მ. ი. ხუდიაკოვი,** დოლესტნის ასსრ XX პარტყრილობის სახელობის სასერდენ-სარეცხენებელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. კ. ნარიფნი** და სხვები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხანაგმა **გ. ი. ვორონოვმა,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი.

14 იანვარი — ქართული თეატრის დღეა

დიდი ცხოვრების კვალდაკვალ

ქართულმა თეატრმა უკვე დიდიხანია, რაც სადღესასწაულო დღედ მიიჩნია გიორგი ერისთავის მიერ კომედია „გაყრის“ პირველი წარმოდგენის დადგმის დღე — 14 იანვარი. 1923 წელს კ. მარჯანიშვილმა ამ დღის აღსანიშნავად განახორციელა „მზის დაბნელება საქართველოში“.

ქართული თეატრის დღეობის აღნიშვნისას სიამაყის გრძნობით შეიძლება გავიხსენოთ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში უძველესი თეატრალური შენობის ნანგრევები საქართველოს მიწაუყალხეა. სიმონ ყაუხჩიშვილმა ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობას მიაკვლია, რის მიხედვითაც ახალი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეზე გაცილებით ადრე, წინაელინისტურ ხანაში, კოლხეთის ქალაქ აფსარუნში თეატრის და იპოდრომის ნაგებობანი არსებობდა. შალვა ამირანაშვილმა კლდეში ნაკვეთი ქალაქის — უფლისციხის შესწავლით დაადგინა, რომ ქვაბულთა მთავარი კომპლექსი თეატრის ნაგებობათა ნანგრევებს წარმოადგენს.

დღეს, 14 იანვარს ქართული თეატრის დღეობაზე სიამაყის გრძნობით შეიძლება გავიხსენოთ: თეატრალური ხელოვნება იმდენად საყვარელი ყოფილა ჩვენი შორეული წინაპრებისათვის ანტიკურ ხანაში, რომ მათ სამკაულად და ბეჭედად უტარებიათ აქტიორული ნიღაბთა გამოსახულებანი.

ჩვენ დღეს მოკრძალებით და ღრმა პატივისცემით მოვიხსენიებთ მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწეს გიორგი ავალიშვილს — ახალი ქართული თეატრის ფუძემდებელს, გიორგი ერისთავს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ დრამატულ მწერლობას და თეატრს, დიდ ილიას და დიდ აკაკის, რომელთა თეატრმა გზა გაუხსნა სცენაზე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მქადაგებლობას და სარბიელი მოუპოვა ქართული აქტიორული განსახიერების რეალისტურ და რომანტიკულ მიმართულებას. ჩვენ სიამაყის გრძნობით ვიგონებთ, რომ ცარიზმის დუხჭირ პირობებშიც კი ქართულ სცენას ასხიოსნებდა ვასო აბაშიძის და ლადო მესხიშვილის, ნატო გაბუნიას და მარიამ საფაროვა-აბაშიძის, კოტე მესხის და კოტე ყიფიანის, ვალერიან გუნიას და ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ალექსანდრე იმედაშვილის და ნინო ჩხეიძის, ვალერიან შალიკაშვილის და გიორგი არადელ-იშხნელის ბრწყინვალე ნიჭი და სრულყოფილი ოსტატობა.

მაგრამ ქართულ თეატრს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არასოდეს არ ჰქონია იმდენად ფართო სარბიელი, არასოდეს არ ყოფილა ეს იმდენად მოწინავე იდეების დიდი ოსტატობით გამომხატველი, როგორც საბჭოთა პერიოდში.

ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის აყვავებას ჩვენ ვუმადლით კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის შეუხელებელ მზრუნველობას, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობას. საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრების ურთიერთგამდიდრების ატმოსფეროში ქართული თეატრი იმდენად გაიზარდა, რომ მისი მნიშვნელობა გასცილდა საქართველოს ფარგლებს, გადასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებსაც. ქართული თეატრი დღეს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე თეატრად ითვლება და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მრავალეროვნული საბჭოთა საალენო ხელოვნების საგანძურში.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებას აღძავლობის გზას უნათებდა შემოქმედთა ბრწყინვალე თაობა: ბარჯანიშვილი, ფალიაშვილი და სარაჯიშვილი. ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ფართო სარბიელზე წარმატებით გამოსვლა გასხივოსნებული იყო სანდრო ახმეტელის და ევგენი მიქელაძის, უშანგი ჩხეიძის, შალვა ღამბაშიძის, გიორგი შავგულიძის, დავით კაკაბაძის, ირაკლი გამრეკელის და პეტრე ოცოცერაძის ბრძოლებით.



ქართული თეატრის ტრადიციებზე აღზრდილ ახალგაზრდა მსახიობთა ერთ-ერთ ნაკადს ეკუთვნიან ალექსანდრე ალექსიძე, ალექსანდრე ბერიძე, ალექსანდრე ბერიძე, ალექსანდრე ბერ

მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

მარად ერთად, მხარდამხარ!

ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის კოორდინაციისა და გეგმიანობის ზოგიერთი საკითხი

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიერ 1961 წლის 7 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ მისალმების წერილში ნათქვამია:

„40 წლისაა საბჭოთა ამიერკავკასიის ისტორია, მაგრამ ორმოცი წლით ვერ გაიზომება მოძმე ხალხთა მეგობრობის ისტორია. ამ მეგობრობას ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს“...

და მართლაც, აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ ხალხებს, ამიერკავკასიის ხალხებს მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ქადაგებდა კავკასიელ ხალხთა ძმობის იდეას. იგი წერდა, რომ ყველა ამ ხალხს „ერთი იყო მამა, სახელითა თარგამოს“ და რომ ქართლოსი და ჰაოსი, ე. ი. ქართველები და სომხები ჯერ კიდევ თავიანთი ისტორიის უძველეს პერიოდში გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი ხაგანი შირვანი (1120-1199) თავის ერთ-ერთ ოდაში წერს:

„ჩემს წინაშე ღიაა საქართველოს კარები, მე იქ გავემგზავრები და ბაგრატიონებთან ვიპოვნი თავშესაფარს“.

აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ ხაგანი იყო საქართველოსა და მისი კულტურის გამოჩენილი მცოდნე, მან თავის პოეტურ ლექსიკოსში შეიტანა მრავალი ქართული სიტყვა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიელ ხალხთა ეს მეგობრობა წინათ სპორადულ ხასიათს ატარებდა. ცარიზმისა და კაპიტალიზმის პირობებში მხოლოდ მარქსიზმის მოძღვრებით შეიარაღებულ მუშათა კლასს, ამიერკავკასიის პროლეტარიატს შეეძლო ყოფილიყო ხალხთა შორის სოლიდარობისა და ინტერნაციონალური იდეების მატარებელი.

კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ლენინი 1913 წ. მ. გორკისადმი წერილში აღნიშნავდა: „ჩვენში, კავკასიაში ს.-დ. ქართველები ± სომხები ± თათრები ± რუსები **ათ წელიწადზე მეტ** ხანს მუშაობდნენ **ერთად, ერთიანს** ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა „კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტაა“.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად პირველად წარმოიქმნა სახელმწიფო, რომელმაც წამოაყენა დიადი ლოზუნგი მშვიდობისა და დაიწყო ხალხთა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის ახალი პრინციპების განხორციელება.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ვ. ლენინის მითითებათა შესაბამისად საბჭოთა რუსეთი ამ რესპუბლიკებს სისტემატურ მატერიალურ დახმარებას უწევდა (პურის, ფაბრიკების, მანქანების, ოქროს ფულისა და სხვ. სახით) დარღვეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

ეს უანგარო დახმარება აღაორთოვანებდა ამიერკავკასიელ ხალხებს უმბალეითო შრომითი წარმატებებისათვის. მაგრამ ამასთანავე ერთად ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისათვის აუცილებელი იყო თვით ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება. კაპიტალისტური მეურნეობის სისტემისაგან განსხვავებით, სოციალისტურ ურთიერთობებს ახასიათებს საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი აღმავლობა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება.

კომუნისტური მშენებლობის ყველა მოთხოვნათა შესაბამისი გეგმიანობის განხორციელება მოითხოვს მეცნიერულად გამართლებულ დარაიონების სისტემას. საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1920 წელს დიდი ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით შეიმუშავა მსხვილი მანქანური ინდუსტრიისა და ელექტროფიკაციის საბაზის სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის გეგმა, და ამასთან ერთად საწარმოო ძალთა გეოგრაფიული გადაგილების, ქვეყნის ყველა რაიონის ბუნებრივი და შრომითი რესურსების ყველაზე უფრო ეფექტური გამოყენების ღონისძიებათა სისტემა, რომლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის შეუნელებლად ზრუნავენ ჩვენი პარტია და მთავრობა.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ შექმნა წარმოების რეზერვების უფრო სრულად გამოყენების პირობები და ამასთანავე გამოიწვია ძირეული ცვლილებანი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის წესებში.

მნიშვნელოვნად გაფართოდა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ორგანოთა უფლებები, ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭოები, გადახალისდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა.

ხსენებულ ღონისძიებათა განხორციელებამ საჭირო გახადა ქვეყნის ძირითადი ეკონომიური რაიონების ახალი ბადის შემუშავება.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა კავშირმა მიაღწია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ისეთ ფონს, რომ აუცილებელი ხდება სამეურნეო კავშირების ყოველმხრივი გაძლიერება არა მარტო ეკონომიურ-ადმინისტრაციულ რაიონებს შიგნით, არამედ ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ადმინისტრაციულ რაიონებს შორის, რომელთაც აქვთ გარკვეული ერთიანობა და მასზე დაფუძნებული თანამშრომლობა საერთოსახელმწიფოებრივი გეგმების და პარტიისა და მთავრობის სხვა დავალებათა შესრულებაში.

ამ საწყისებში შემუშავდა ეკონომიური დარაიონების ახალი ბადე. სსრ კავშირი დაყოფილია 17 მსხვილ ეკონომიურ რაიონად, რომლებიც ერთიანებენ ასოცამდე ადმინისტრაციულ ქვედანაყოფს. ამ ბადის თანახმად აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი გაერთიანებულია ერთ — ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონად.

ასეთ მსხვილ ერთეულებად ქვეყნის დარაიონებას გვიკარნახებს კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, რაც ითვალისწინებს ესოდენ გრანდიოზულ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა შესრულებისათვის აუცილებელია რამდენიმე ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის შესაძლებლობათა გაერთიანება.

სკკპ XXII ყრილობაზე პარტიის ახალი პროგრამის შესახებ მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა: „უკვე ახლა ცხოვრება გვიკარნახებს იმის აუცილებლობას, რომ შეიქმნას ზოგიერთი რესპუბლიკათაშორისი ზონალური ორგანო რესპუბლიკების ღონისძიებათა უკეთესი კოორდინაციისათვის კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში“.

პარტიის, საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულება — ორი ათეული წლის განმავლობაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა — მოითხოვს დიდძალ კაპიტალდაბანდებას, სახალხო მეურნეობაში. ამოცანა ის არის, რომ მთელი ეს საშუალებები გამოვიყენოთ უაღრესად რაციონალურად და ეკონომიტრად, დროის მოგებითა და მაქსიმალური შედეგით.

ბუნებრივია, რომ მრეწველობის ინტენსიურ განვითარებას მოყვება დიდი პროგრესული ძვრები მის სტრუქტურაში. ძალიერ ამაღლდება როლი ინდუსტრიის ახალი დარგებისა, სადაც მიიღწევა უმეტესი ტექნიკური პროგრესი.

ენერგეტიკის, ნედლეულის, მასალების ნაკლებად ეკონომიური სახეები თანდათანობით გამოიდევნებიან და მკვეთრად გაიზრდება მაღალეფექტიანთა კომპლექსური გამოყენება. ფართოდ დაინერგება ავტომატიკასა და ელექტრონის ტექნიკასთან დაკავშირებული ახალი ტიპის მანქანები და აპარატები.

ასეთ ვითარებაში აუცილებელი გახდება მრეწველობის ისეთი რაციონალური გადაგილება, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, რაიონთა მაქსიმალურ განვითარებას და მათი მეურნეობის სპეციალიზაციას, სოფელსა და ქალაქს შორის არსებითი განსხვავების დაძლევას, ცალკე რაიონთა განვითარების დონის ურთიერთ მიახლოებას.

ჩნდება უფრო მსხვილი ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების წარმოქმნის აუცილებლობა. სახალხო მეურნეობის საბჭოს (სმს) საქმიანობის შესახებ სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „სმს მეშაობის სრულყოფასთან ერთად ეკონომიურ-ადმინისტრაციული რაიონების შიგნით გაძლიერდება აგრეთვე ეკონომიური ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, რათა უკეთ მოეწყოს გეგმაზომიერი კომპლექსური განვითარება ისეთი მსხვილი ეკონომიური რაიონების მეურნეობისა, როგორიც არიან ურალი, ვოლგისპირეთი, დასავლეთი ციმბირი, აღმოსავლეთი ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ამიერკავკასია, ბალტიისპირეთი, შუა აზია და სხვ“.

ამგვარად, გაწლილი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ მასშტაბებთან ერთად სულ უფრო იზრდება წარმოების გადაგილების მნიშვნელობა და როლი. მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარებამ წარმოშვა საწარმოო ძალთა გადაგილების ახალი პრობლემები როგორც სსრ კავშირში, ისე სოციალიზმის მშენებლობის გზაზე მყოფ ქვეყნებშიც.

საბჭოთა ამიერკავკასიაში (ტერიტორია — 186,1 ათას კვ. კმ., მოსახლეობა — 10.066.000; მათ შორის საქართველოს სსრ — 4.200.000, აზერბაიჯანის სსრ — 3.973.000, სომხეთის სსრ — 1.893.000) ოდიდან წარმატებას მიაღწია სახალხო მეურნეობამ, კულტურამ. მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა ქვეყნები გადაქცეა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკებად.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მარტო მრავალგვარი ბუნებრივი სიმდიდრე რიდი მოეპოვებათ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ სახალხო მეურნეობისათვის აღოზარდა მაღალკვალიფიციური კადრები, შეცნიერთა პლეადა, შეიქმნა მრავალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, ლაბორატორია და სხვ., რომლებსაც სათავეში უდგანან ამ რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები.

უკანასკნელ წლებში მთელ სსრ კავშირთან ერთად დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო და ტექნიკურ პროგრესს მიაღწიეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა. 1913 წელთან შედარებით 1960 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია მთლიანად სსრ კავშირში — 45-ჯერ მეტი იყო, კერძოდ საქართველოს სსრ — 40-ჯერ, აზერბაიჯანის სსრ — 17-ჯერ, სომხეთის სსრ — 68-ჯერ მეტი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს თავიანთი წვლილი შეაქვთ მთლიანად სსრ კავშირის შრომის დანაწილებაში. წლითიწლობით იზრდება ამ რესპუბლიკებში თუჯის გამოდნობა, ფოლადისა და ნაგლინის წარმოება, ქიმიანაზრის, ნავთობისა და გაზის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ლითონსაჭრელი ჩარხების, ბამბის ბოჭკოს, ჩაისა და ციტრუსების, ბამბის ქსოვილების, ამრეშუმის გრეხის, ყურძნის ღვინის წარმოება და ა. შ.

სკკპ XXII ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოში მრეწველობის განვითარება მნიშვნელოვნად უსწრებს შვიდწლიანი გეგმის დავალებებს. მარტო ორ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 15 პროცენტით გადიდდა ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 12 პროცენტისა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანელ მშრომელთა მიღწევები: 1959 წელთან შედარებით 1960 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 9 პროცენტით. 1960 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1961 წლის 9 თვეში მრეწველობის პროდუქციის მატების ტემპი 12 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა სომხეთში მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად სწრაფი ტემპებით ითარდება მრეწველობის სხვადასხვა დარგები. ომისშემდგომ წლებში მრეწველობის საშუალო წლიური მატების ტემპი უდრის დაახლოებით 15 პროცენტს.

რა თქმა უნდა, სოციალისტური მეურნეობის სწრაფი აღმავლობის შესახებ ანალოგიური იყო კომუნიზმის მშენებელთა ყრილობაზე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელთაგან წარმოდგენილი ეკონომიური მაჩვენებლები.

პარტიის XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „ერების თანამშრომლობის განმტკიცების წყარო უწინარეს ყოვლისა სწორი ეკონომიური პოლიტიკაა. პროგრამის პროექტში გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის კომპლექსური განვითარება და სპეციალიზაცია. თვითეული მთგანის ეკონომიკა კვლავაც განვითარდება როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი“.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესაბამისად გასული წლის სექტემბრის თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი. თათბირმა შექმნა **ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის კოორდინაციისა და გეგმიანობის საბჭო.**

ამ საბჭოს მუდმივი სამყოფელი იდგილია ქ. თბილისი. აწლოგიური საბჭოები შეიქმნა სსრ კავშირის სხვა მსხვილ ეკონომიურ რაიონებშიც. ამ საბჭოთა წინაშე დასახულია უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

ისინი მოწოდებული არიან შეისწავლონ და განიხილონ მსხვილ ეკონომიურ რაიონში შემავალი მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის კომპლექსური განვითარების ძირითადი პრობლემები და შეიმუშაონ რეკომენდაციები და წინადადებანი ბუნებრივ სიმდიდრეთა, საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებისათვის — მთელი ქვეყნის ეკონომიკის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარების მიზნით.

საბჭოების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს განიხილავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური საბჭო და სსრ კავშირის საგეგმო კომისია, რათა ეს რეკომენდაციები გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის როგორც დაგეგმვის, ისე ოპერაციული ხელმძღვანელობის პროცესში.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთიან ეკონომიურ რაიონში გაერთიანება, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეესაბამება ამ რესპუბლიკებს შორის ტრადიციით დადგენილ სამეურნეო კავშირებს, რაც ამიერიდან კიდევ უფრო განვითარდება და განმტკიცდება.

ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონს აქვს უდიდესი შესაძლებლობანი, რაც სრულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისათვის.

ამიერკავკასია სამთამადნო მრეწველობის, უდიდესი ენერგეტიკული რესურსების გაეტაბნი ყამირია, მიწათმოქმედების უძვირფასესი პროდუქტების წარმოების რაიონია. კავკასიის წიაღში ფერადი ლითონების, მარგანეცის, ნავთობის, გაზის, საშენი მასალების და დიდი მარაგია. ტყეებში არის უძვირფასესი ჯიშების მერქანი. მთის სწრაფ მდინარეებს შეუძლიათ მოგვცენ ბევრი იაფი ენერგია; ნიადაგი, კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევს დიდი ო
ეობრივ ბაღნარეთ ჩაი, ბამბა, ყურძენი. ციტრუსები და სამხრეთის ბევრი სხვა კულტურა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სამეურნეო კავშირების განმტკიცებისა და გაფართოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის ქსელს, განსაკუთრებით რკინიგზებს. მათ შორის მაგისტრალურ ხაზს — სოხუმი-თბილისი-ბაქო და მის განშტოებებს — სამტრედია-ფოთი, სამტრედია-ბათუმი, თბილისი-ერევანი, ერევანი-ბაქო; საკავშირო მნიშვნელობა აქვთ სავაჭრო ნავსადგურებს — ბაქოს, ბათუმსა და ფოთს, რომელთა მეშვეობით ხორცელდება ტვირთგაცვლა როგორც სსრ კავშირის სხვა ეკონომიურ რაიონებთან, ისე საზღვარგარეთის სახელმწიფოებთანაც.

რუსთავი. მარტენის საამქროში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სამი რესპუბლიკის საერთო საზრუნავ პრობლემათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ელექტროენერგეტიკული მეურნეობის მოწესრიგება. 1960 წელს ამიერკავკასიაში ელექტროენერგიის წარმოებამ 10-ჯერზე მეტად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. მაგრამ ამჟამად ესოდენ დიდი წარმატებაც არასაკმარისია. ამიერკავკასიის ელექტროენერგეტიკული მეურნეობის შემდგომი გაფართოება ჰიდრო და თბოელექტროსადგურთა მშენებლობით არის ნაგარაუდევი. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ აზერბაიჯანი, რომელსაც თხევადი და გაზოსანი საბობის ნავთობის საკმარისი რესურსები აქვს, უნდა დასპეციალდეს უმთავრესად თბოელექტროენერგიის წარმოებაში. ხოლო საქართველო და სომხეთი, რომელთაც აქვთ დიდი შესაბამისი ენერგიის შემცველი მდინარეები — ჰიდროელექტრობის წარმოებაში.

კოორდინაციის საბჭომ უნდა განიხილოს ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანების საკითხი, გაითვალისწინოს მათი 20 წლის მანძილზე განვითარების, ელექტროსადგურთა დადგენილი სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტის ამაღლების, პიკური ლატვირთვათა შენელებისა და ჭარბი ენერგიის რესპუბლიკათა შორის გადანაწილების საკითხები.

ამჟამად ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანის ბუნებრივ გაზს, რომლის მოპოვებამ 1960 წელს მიაღწია 6 მილიარდ კუბმეტრს, ხოლო 1980 წლისათვის წინასწარი ვარაუდით, 20 მილიარდს უნდა გადააჭარბოს. ეს ბუნებრივი გაზი შესაძლებელს ხდის შეიქმნას და ფართოდ განვითარდეს მრეწველობის ახალი დარგები პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებით. კარგა ხანია, რაც ამიერკავკასიის მშრომელები მეგობრობის ტრასას უწოდებენ „ყარადაღ-თბილისი-ერევნის გაზსადენს.

ამასთანავე უკვე აუცილებელი შეიქმნა ახალი გაზსადენის გამოყვანა ქ. ორჯონიკიძიდან თბილისამდე. ამჟამად უკვე მიმდინარეობს ამ ხაზზე სათანადო მუშაობა. შემდეგში ეს გაზსადენი გაგრძელდება სომხეთისაკენ და, ამ სახით, განხორციელდება ციდმნიშვნელოვანი გაუმჯობესება ამიერკავკასიის სათბობის ბალანსში.

ნავთობისა და გაზის მოპოვება აზერბაიჯანში, ნახშირისა — საქართველოში კიდევ უფრო ძლიერ განვითარდება, რის შედეგადაც მოიხსნება სსრ კავშირის სხვა ეკონომიური რაიონებიდან ამიერკავკასიაში სათბობის შემოტანის აუცილებლობა.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამეურნეო კავშირის ნათელ სურათს წარმოადგენს ამიერკავკასიაში მრეწველობის ახალი დარგის, სახელდობრ ბავი მეტალურგიის განვითარება. ამიერკავკასიის (ქ. რუსთავის) მეტალურგიული ქარხანა მუშაობს აზერბაიჯანულ (დაშქესანის საბადოს) რკინის მადანსა და ქართული (ტყვარჩელისა და ტყიბულის) ქვანახშირის ბაზაზე.

ეს ქარხანა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის პარალელურად აწარმოებს მთლიანქმნილ მილებს, რაც უმთავრესად აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობისათვის არის განკუთვნილი. ხსენებული პროდუქციის გამოშვება, ცხადია, კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, მაგრამ ამასთანავე მიზანშეწონილი იქნება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, მთელი ამიერკავკასიისათვის მოეწყოს წარმოება სხმული თუჯისა, რაც ამჟამად დიდი რაოდენობით შემოაქვთ სსრ კავშირის სხვა ეკონომიური რაიონებიდან.

აუცილებელია კოორდინაციისა და გეგმიანობის საბჭოს მსჯელობის საგანი გახდეს რუსთავის ქარხნის ფოლადისა და თუჯის თვითღირებულების საკითხი, რაც მისაწოდებელი რკინის მადნისა და საბობრის ძალიან თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა ასპექტში უნდა იქნას განხილული.

განუხრელად მზარდი ლითონდასამუშავებელი და ნავთობის მრეწველობის საჭირო ფოლადით, თუჯით, ნაგლინითა და მილებით უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს ამათი წარმოება და ერთდროულად გადაიჭრას ამ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებული საკითხები.

ამიერკავკასიის საგეგმო და სამეურნეო ორგანოებმა ძალიან კარგად იციან, რომ სსრ კავშირის თითქმის ყველა რაიონიდან აქ შემოაქვთ სხმულები, ნაჭედი და ნატეფური ლითონები, ინსტრუმენტები, სამაგრი ნაკეთობანი და სხვ. ამასთანავე ყოველ აქაურ მანქანათაშენებელ ქარხანას აქვს თავისი სამსხმელო, სამჭედლო-საწნეხი და საინსტრუმენტო საამქრო.

გასაგები უნდა იყოს, რომ ამ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის რაციონალური კოორდინაციის პირობებში შესაძლებელი იქნება დასახელებული პროდუქციის (ნაკეთობათა) შემოზიდვის პირველ ხანებში შემცირება, მერმე შეწყვეტა და, მაშასადამე, მათი აქვე დამზადება. თვით ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვს შეიქმნას მსხვილი სპეციალიზებული ქარხნები, რომლებიც დაამზადებენ ლითონის ნაკეთობებს, ინსტრუმენტებს, სამაგრ მასალებს და არასტანდარტულ მოწყობილობას — ამიერკავკასიის რესპუბლიკების მანქანათმშენებლობისა და სხვა საჭიროებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს ინდუსტრიულ საწარმოებში უკანასკნელი წლების მანძილზე წარმოების მოცულობის ზრდა გამოწვეულია არა მარტო ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებითა და ახალი ტექნიკის დანერგვით, არამედ ეს, გარკვეული ზომით, საწარმოთა სპეციალიზაციისა და გამსხვილების, მრეწველობის სხვადასხვა დარგში წარმოების კოოპერირების შედეგიც არის.

ამ ასპექტში საინტერესოა ვიცოდეთ, რომ სპეციალიზაცია ჩვენში ჯერჯერობით ითარდება უმთავრესად **საგნობრივი პრინციპის,** მაგალითად, დაზგების, ფეხსაცმლისა და სხვ. გამოშვების მიმართულებით. რაც შეეხება **ტექნოლოგიურ სპეციალიზაციას და ერთგვაროვანი დეტალების წარმოების** სპეციალიზაციას, — ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, სომხეთში თუჯის სხმულს შედარებით მცირე რაოდენობით უშვებს 18 ქარხანა, ლითონის ნაჭედ და ნატეფურ ნაკეთობას — 19, ხოლო ხის ტარის კეთებას ეწევა სახალხო მეურნეობის საბჭოს ათობით საწარმო. მეტნაკლები ზომით ანალოგიურია მდგომარეობა საქართველოსა და აზერბაიჯანშიც.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის მჭიდრო ეკონომიურ კავშირს მოწმობენ ქვემომოყვანილი მონაცემები მრეწველობის პროდუქციის, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან საქართველოში შემოზიდვისა და აქედან პირველ ორ რესპუბლიკაში შეზიდვის შესახებ.

საქართველოდან იღებს:

1. სომხეთის სსრ — შავი ლითონის ნაგლინს, სქელფურცლოვან ფოლადს, ფოლადის მილებს, მარგანეცს, ფერომენგანდნობს, საბაჯურ ავტომობილებს, დაზგებს, ფოლადის სხმულს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ბამბის ქსოვილებს, შალს, ამრეშუმის ქსოვილებს, ტყავს, ფეხსაცმელს, ჩაის, ციტრუსებს და სხვ.

2. აზერბაიჯანის სსრ — საბარგო ავტომობილებს, ფოლადის მილებს, შავი ლითონის ნაგლინს, სქელფურცლოვან ფოლადს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, დაზგებს, ფერომენგანდნობს, მარგანეცს, ბარიტს, მაგნეტიტის კონცენტრატებს, გუმბრინს, ასკანიტს, ბამბის, შალისა და ამრეშუმის ქსოვილებს, ტყავის ნაწარმს, ყვების მრეწველობის სხვადასხვა პროდუქციას და ა. შ.

საქართველოში შემოდის:

1. აზერბაიჯანიდან — ნავთობი და მისი პროდუქტები. ალუმინი, ბიტუმი, რკინის მადანი, შავი ლითონის ჯართი, შალისა და ბამბის ქსოვილები, ნედლი ბამბა, მატყლი და სხვ.

2. სომხეთიდან — ელექტროტექნიკური მოწყობილობა, ავტომატიზაციის ხელსაწყოები, ლითონსაჭრელი დაზგები, გოგირდმჟავა, ავტოსაბურავები, კაბელი, კარბიდ-კალციუმი, მინერალური სასუქი, ტყავი და მისი ნაწარმი, ტრიკოტაჟი, სამშენებლო მასალა და სხვ.

ასეთია არასრული სია მრეწველობის ამ პროდუქციისა, რაც თავისთავადაც ბევრს მეტყველებს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სამეურნეო კავშირის არსებობისა და მასტაბის შესახებ. თუ ამას მივუმატებთ ამ ნაკეთობათა ნომენკლატურას, რაც ამიერკავკასიიდან გადის სსრკ სხვა ეკონომიურ რაიონებში, აღვილი წარმოსადგენი იქნება როლი, რასაც ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები შრომის საკავშირო დანაწილებაში ასრულებენ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინდუსტრიის განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მრეწველობის პროდუქცია გაავქვთ საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანაში, სომხეთისა — 37, ხოლო აზერბაიჯანისა — 40 სახელმწიფოში. ამ რესპუბლიკების ინდუსტრიის მრავალმა ნაკეთობამ მოიპოვა მსოფლიო სახელი და მიიღო პირველი პრემიები და ჯილდოები ბევრ საერთაშორისო გამოფენაზე.

ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენენ ერთიან მსხვილ ეკონომიურ რაიონს — რთული, მრავალდარგოვანი წარმოებით, დიდი ხნადანვე წარმოქმნილი სამეურნეო ურთიერთობით.

ასეთ ვითარებაში გასაგებია, რომ გასულ წელს შექმნილი ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის კოორდინაციისა და გეგმიანობის საბჭო მოწოდებულია შეასრულოს დიდი მუშაობა დასახელებული კავშირების რაციონალური გაღრმავებისა და გაფართოებისათვის, რაშიც იგი უნდა ხელმძღვანელობდეს საწარმოო ძალთა სოციალისტური გადაგილების პრინციპებით, რომ მეტი ეკონომიური ეფექტურობა იყოს მიღწეული.

ცხადია, კოორდინაციისა და გეგმიანობის საბჭოებს მთელი საქმიანობა არ უნდა იზღუდებოდეს ერთი, თუნდაც დიდი ეკონომიური რაიონის ჩარჩოებით. ცალკე ეკონომიური რაიონების მეურნეობა წარმოადგენს მთელი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ორგანულ ნაწილს და, ამიტომაც იგი სხვა ეკონომიურ რაიონებთან განუწყვეტელ ურთიერთკავშირში უნდა წარმოვიდგინოთ.

შორს წაგვიყვანდა თუნდაც მხოლოდ ჩამოთვლა იმ საკითხებისა, რომლებსაც ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის კოორდინაციისა და გეგმიანობის საბჭომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს. აქ შეიძლება კიდევ, მაგალითისათვის, აღინიშნოს შემოზიდვისა და გაზიდვის საკითხის მოწესრიგება, განსაკუთრებით კიდევ, შემხვედრი გადაზიდვებისა, რაც, სამწუხაროდ, დღემდეც გრძელდება და სხვ.

სკკპ XXII ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მიერ XX ყრილობის შემდეგ მოპოვებული გრანდიოზული წარმატებანი და დაგვისახა კომუნისტური საზოგადოების აშენების წარმატაცი გზები, რაც ესოდენ ნათლად და მიმზიდველად ასახულია ჩვენი ეპოქის დიად დოკუმენტში — სკკპ პროგრამაში.

ეჭვი არ შეიძლება ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ამიერკავკასიის მშრომელები პირნათლად შეასრულებენ ჩვენი პარტიის მიერ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და თავის წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საყოველთაო-სახალხო საქმეში.

კაპატა გუგუშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში

რუსთავის მეტალურგეგისათვის

ამ ხუთიოდე დღის წინათ დაშქესანის საბადოში მადანგამამდიდრებელ კომბინატთან აღმართეს ნიშანსვეტი:

— ფრთხილად! აფეთქება იწყება.

ზუსტად დღის 4 საათზე გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა და, თითქოს დედამიწის წიაღი გადმობრუნდაო, ცაში აიტაცა რუხი-მოშავო სვეტი. ეს იყო დაშქესანის მაგნეტიური რკინის მადნის აფეთქება, რომელსაც ათეულ ათასობით ტონა მადანი დახვავდა.

მუშაობას შეუდგნენ დაშქესანელი მექანიზატორები. დაუყოვნებლივ ამუშავა ძლავრი ექსკავატორი გამოჩენილმა მექანიზატორმა ჰ. ყულიევმა. მან ერთ ცვლაში შეძლო სპეციალურ სპეციალურ ვაგონეტებში გეგმის ზევით ჩაეტვირთა 120 ტონა მადანი. ამ დღეს, ისევე როგორც წინა დღეებში, ქართველი მეტალურგებისათვის გასაგზავნი მადნის დატვირთვაში თავი ისახელეს სხვა დაშქესანელმა მექანიზატორებმაც — ახმედ ადდულაევმა, ვაზგენ ზახაროვმა, ალუშ ჰასანოვმა და ბევრმა სხვამ.

სურათზე: აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის კომუნისტური შრომის საამქროს მორწინავენი. — ოპერატორი **გუმბათ მამედოვი** და უფროსი მეალეკავი ადილ რასულოვი.

ფოტო ა. ფჩელიანისა.

შრომის სიხარული

ერევნის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანამ 1961 წლის ბოლოსათვის სამშობლო

გულთბილი შეხვედრები

ა. ი. მიქოიანი განაუი

აკრა, 12 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება აქ, გუშინ იყო კონვენტის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში. შენობის შესასვლელთან ა. ი. მიქოიანსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი კრაბე, აგრეთვე პარტიის წევრთა და ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა ჯგუფი.

ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერა შენობა და მოკლე ხნით შეჩერდა აქ. აღმასრულებელმა მდივანმა კრაბემ და ა. ი. მიქოიანმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით. კონვენტის სახალხო პარტიის გენერალური მდივნის ნკრუმასა და მთელი პარტიის სახელით კრაბე გულითადად მიესალმა საბჭოთა სახელმწიფოსა და სკკ გამოჩენილ ხელმძღვანელს და მადლობა უძღვნა იმ დიდი პატივისათვის, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის დათვალიერებით გამოიჩინა. მან გამოთქვა რწმენა, რომ ა. ი. მიქოიანის ვიზიტი კიდევ მეტად განამტკიცებს არა მარტო მეგობრულ ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის, არამედ კონვენტის სახალხო პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირურთიერთობასაც. დასასრულ კრაბემ საპატიო სტუმარსა და მის თანმგზავრებს უსურვა ბედნიერი სტუმრობა განის მიწა-წყალზე.

მისალმების პასუხად ა. ი. მიქოიანმა კონვენტის სახალხო პარტიას გადასცა მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები მის ყოველმხრივ საქმიანობაში განის სწრაფი აღორძინების საკეთილდღეოდ. ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა პარტიის თვალსაჩინო როლი კვამე ნკრუმას შეთაურობით განის დამოუკიდებლობის მიღწევასა და ახალი განის მშენებლობაში, რომელიც ამჟამად უდიდეს როლს ასრულებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში, და კმაყოფილებით განაცხადა, რომ კონვენტის სახალხო პარტიის ხელმძღვანელებით განამ დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის მშენებლობაში.

აკრა, 13 იანვარი (საკდესი). გუშინ საუადღეოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება განაში, და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ განის ნორჩ პიონერთა მუშათა ბრიგადის მხატვრულ და ფიზკულტურულ გამოსვლებს, რომლებიც სპეციალურად მოეწყო შავი ვარსკვლავის მოედანზე ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად.

წარმოდგენას დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი, რომლებიც გულთბილად მესალმნენ ა. ი. მიქოიანსა და მის თანამგზავრებს.

საღამოს პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ თავის რეზიდენციაში სადილი გამართა ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად. პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ და ა. ი. მიქოიანმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

შეწყდეს ამერიკის ჩარევა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ 1962 წლის 4 იანვარს წერილი გაუგზავნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს.

ეს წერილი პასუხია სპეციალურ მიმართვაზე მსოფლიოს ყველა პარლამენტისადმი, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ მიიღო 1961 წლის ოქტომბრის დამლევს.

მიმართვაში მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკა, რომლებიც ცდილობენ თავიანთი აგენტის ნგო დინ დიემისათვის სამხედრო დახმარების გაძლიერების გზით გადაიქციონ სამხრეთი ვიეტნამი ამერიკის სამხედრო ბაზად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მასში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაადგნენ პიდაპირი სამხედრო აგრესიის გზას სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც ილაშქრებს ნგოდინდიემელ ხელისუფალთა ანტიეროვნული, ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ.

სამხრეთ ვიეტნამში ვითარებიწ სერიოზული გამწვავების მთავარი მიზეზია, ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის თავმჯდომარეების ბ. ლობანოვისა და ი. პეივეს წერილში, ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ჩარევა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში, რითაც ირღვევა ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი.

საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა და უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის კანონიერ მოთხოვნებს, რაც შეიძლება მალე გადაიჭრას ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხი ჟენევის შეთანხმებათა ზუსტი შესაბამისობით. მაგრამ ამას ხელს უშლიან ამერიკის იმპერიალისტური წრეები.

საბჭოთა კავშირი, ნათქვამია წერილში, მხარს უჭერს ვიეტნამელი ხალხის კანონიერ ბრძოლას იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ჩარევა ვიეტნამის საქმეებში და გაიწვიონ ვიეტნამის სამხრეთ ნაწილიდან თავიანთი სამხედრო პერსონალი, შეწყვიტონ სამხედრო დემონსტრაციები ვიეტნამის ნაპირებთან და მტკიცედ დაიცვან ვალდებულებანი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იკისრა ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებით. (საკდესი).

იტალიურ გაზეთ „ავ�" ... ამოდებულ ამ სურათზე ... რა მხიცურად უწოდებდა პოლიტ... ... ცია დემონსტრაციის მონაწილეებს ლიბანონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბა, ლაოსი — მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

ინგლისელი მკითხველის წერილი

ლონდონი, 12 იანვარი. (საკდესი). უოლლინგტონელი (სურეის საგრაფო) მკითხველი დუკლას გრეი წერილში გაზეთ „დეილი ექსპრესისადმი „უგუნურებას" უწოდებს იმას, რომ დასავლეთ გერმანიას წვლილი შეაქვს გერმანიაში ინგლისის არმიის შესახებ ხარჯებში ინგლისის იარაღის შესაიღვის გზით.

„არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დროთა განმავლობაში ეს იარაღი გამოყენებულ იქნება ჩვენს წინააღმდეგ. შეამსუბუქეთ ტვირთი, რომელიც აწევს ჩვენს ხაზინას, — აღნიშნავს გრეი, — იმით, რომ გამოიყენეთ ჩვენი არმია დასავლეთ გერმანიიდან".

პროვოკაციები გრძელდება

ჟენევი, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რადიოსადგურმა „ლაოსის ხმამ" გადასცა, რომ სავანაკეტის ჯგუფმა ჩაშალა ვიეტნამის მოლაპარაკება და განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს განთავისუფლებული რაიონების წინააღმდეგ, რომლებსაც კონტროლს უწევენ მეფის მთავრობა და პატრია ნეო ლაო ხაკსატი.

4-6 იანვარს მეამბოხეთა 4 თვითმფრინავმა სროლა აუტეხეს ხხომარაკს ხმამ-მუონის პროვინციაში და დიდი ზარალი მიაყენეს ადგილობრივ მოსახლეობას.

7 იანვარს ფუმი ნოსავანის ხროვის ექვსი-ასეული უცხოელ ოფიცერთა სარდლობით, რომლებმაც გამოიარეს ტაილანდ-ფორქეეკეთი და 105-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნები, თავს დაესხნენ ფონ-ხონგს ვიეტნიანის ჩრდილოეთით.

იმავე დღეს სავანაკეტის ჯგუფის ჯარებმა სროლა აუტეხეს განთავისუფლებულ სოფელ ხამ-კუანს ხამ-მოუნის პროვინციის სამხრეთთან.

მიწისძვრა...

რომი, 12 იანვარი. (საკდესი). ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები აღინიშნა გუშინ იტალიის მთელ რიგ რაიონებში. მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ბევრი შენობა იტალიის რამდენიმე ქალაქში, კერძოდ ტარანტოსა და ფოჯაში. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.



დავიწყებული გაკვეთილი

კვლავ ჩამოწვა ღრუბლები კუბას, კვლავ ამკარა ხდება თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის საფრთხე. ჩანს, ამერიკის მმართველ წრეებს ჯეროვანი დასკვნები არ გაუკეთებიათ იმ გაკვეთილიდან, რაც მათ რამდენიმე თვის წინათ მიიღეს ავანტიურისტთა და გარეწართა იმ ბანდის განადგურების შედეგად, რომელიც მოიზიდებული იყო ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ და კუბის მიწა-წყალზე ამერიკის მონოპოლიების ბატონობის დასამყარებლად გაიგზავნა. (გაზეთებიდან).

ნახ. გ. ლომიძისა.

გაანწირულთა მუქარა

□ ახალი შეთქმულება კუბის წინააღმდეგ. □ ავგედითი ღრუბლები ლაოსის თავზე.

22 იანვარს ურუგვაის საკურორტო დაბა პუნტა-დელ-ესტეში გაიხსნება ამერიკის საელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების სანტიაგო დანტასმა აღნიშნა: „ბრაზილია კვლავ განაცხადებს ამ თათბირზე, რომ პატივს სცემს ჩაურევლობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამერიკის ქვეყნების სისტემას". ასეთსავე პოზიციას ადგანან ლათინური ამერიკის მთელი რიგი სხვა ქვეყნები. მეტად დამახასიათებელია, რომ ამერიკის პრესაში გამოთქვამენ შიშს იმის გამო, შეაგროვებენ თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები მომავალ თათბირზე ხმების ორმესამედს კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის სასარგებლოდ. მაგრამ თუნდაც, რომ სახელმწიფოთა ორმა მესამედმა ხმა მისცეს ვამინგტონისათვის სასურველ გადაწყვეტილებას, გაწია შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ბრაზილიას მისი 70 მილიონიანი მოსახლეობით, 40 მილიონიან მექსიკას და მთელ რიგ სხვა ქვეყნებს, რომლებსაც არ სურთ სანქციების გამოყენება კუბის წინააღმდეგ. „სუსტი ნებისყოფის მთავრობათა ათი ან მეტი ხმის უმრავლესობას, — სამართლიანად წერს მექსიკის გაზეთი „პრენსა", — არ შეუძლია გადაბაროს ლათინურ ამერიკის ისტორიის სასწორი უაზრობისაკენ, უსამართლობისა და განწირულობისაკენ".

კუბის მართალ საქმეს უაღრესად ფარფოლ უჭერენ მხარს მთელ ლათინურ ამერიკაში. კუბის რევოლუციის დასაცავად გამოდიან ლათინური ამერიკის კონტინენტის გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მტკიცედ მოითხოვენ: „ხელები შორს კუბისაგან". ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის მრავალი წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას კუბის ხალხის მეორე ასამბლეაში, რომელიც ჰავანაში გაიმართება 22 იანვარს, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის გახსნის ღიღს. კუბელი ხალხის მეგობრები მოაწყობენ აქ თავიანთ კონფერენციას, რომელზეც დაადასტურებენ ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობის უფლებას.

ლაოსში მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემა ჩიხში მოექცა. ფუმი ნოსავანი-ბუნ უმის მემარჯვენე საგანაკეტის დაჯგუფებამ ვერაგულად დაარღვია სამი ლაოსელი პრინცის წინანდელი შეთანხმებანი დამოუკიდებელი და ნეიტრალური ლაოსის შექმნის შესახებ და ჩაფუშა მოლაპარაკება ერთიანი კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ.

ნეიტრალური ლაოსის მოწინააღმდეგენი გამომწვეული მოქმედებით ცდილობენ წაშალონ მრავალი თვის მეშაობა ენენ-ბენ-ის ოლქში. ... ...

მაყვალა მრევლიშვილი

აზალი ლექსები

ორი მარტეოფი

სოფლის თავს ხეო ტოტებგაშლილო,
ბერ პაპასავით დაგწვავს წარსული: —
კალოდ ნალეწი ოთოო ბავშვები
და მიწა ხანძრით გადაპარსული.

წარსულისათვის ვისა სცალია,
ეგებ ჩავწვდე და ვერ ავიტანო,
მაინც რა ხშირად, ხშირად ძალიან
ფიქრით შენთან ვარ, ფერეიდანო.

იქ ჰყავთ ბავშვები, — არ აქვთ ბავშვობა,
გაუცინარნი და უნიათო,
არც დედაენა, არსად სამშობლო, —
თითქოს ობლები უპოვნიათო.

ეს ყველაფერი კინოკადრია,
ხელად წაშლიან ჩვენი ბავშვები,
სკოლის ეზოში დილაადრიან
მერცხლის გუნდივით მოთამაშენი.

მოველ და ჭირთა ხსოვნა მინელდა.
დაუშრეტელი წყაროსთვალივით —
დუღს დედამიწა — მათი დიდედა,
სამშვიდობოზე გამოყვანილი.

წაშალეთ ძველი, ჩვენო ბავშვებო,
სვებედნიერი აწმყოს ფერებით.
უფრო კარგები და ყოჩაღები
გვინდა, რომ გვყავდეთ მარტყოფელები.

აგერ, გულღიად გვისმენს მარტყოფი
მშვიდობის დილის, საღამოისაც...
დიდი მყობადის შვილთა სამყოფი
შუბლს გადაგრხსნის აქ ამოსვლისას.

რიონი

რად დაწეულა ეს კალაპოტი?
ამოზიდულან თეთრი ლოდები..
მშრალო ლოდებო, ზედ გადაფოფრილ
ცინცხალა ზვირთებს დაველოდები.

ტალღის კალმახთან მინდა ვიომი,
შევეხმიანო კვლავინდებურად.
მაგრამ სადა გაქვს ცეცხლი, რიონო,
ნაპირი რატომ გარინდებულა?

არა! რიონი ისევ უხვია,
ისევ ძალღონით არის ავსილი,
ოღონდ სახლიდან გადაუხვიე
სამუშაოზე გასულ კაცივით.

შინ გაჩერდება კაი ვაჟკაცი?
სარჩოს უგზავნის თავისიანებს,
რიონჰესიდან თვალის კაშკაშით
მაღალ ანძებზე გაისრიალებს.

ფუნჯი უჭირავს მზისფეროვანი,
თავის ქუთაისს თავზე დაჰხარის —
რიონი დიდი გზის ხელოვანი,
რიონი ვრცელი ტილოს მხატვარი.

მთების ჩარჩოზე გადაუჭიმავს
ლურჯი საღამო მოსახატავი
და ზედ ასხურა ცეცხლის ფუნჯიდან
დაულეველი ოქროს ღადარი.

შოჩრს ისმის ქართული მუსიკა...

ქართული საბჭოთა ხელოვნება ფართოდ იკაფავს გზას. ქართველ კომპოზიტორთა მრავალი ნაწარმოები გასცდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენს დედაქალაქში — მოსკოვში ავტორის დირიჟორობით ფირფიტაზე ჩაიწერა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის სიმფონიური პოემა „მწირი“ და კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. აქედან პირველი შეასრულა სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, მეორე კი საკავშირო რადიოს დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა დავით ოისტრახის მონაწილეობით.

გრამოფონის ფირფიტა მოხვდა ჩვენს მოძმე ჩეხოსლოვაკიაშიც, სადაც ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებებს მაღალი შეფასება მისცა ადგილობრივმა პრესამ. ჩეხურ ჟურნალში „ბუდეანი როზგლედში“ დაიბეჭდა ცნობილი მუსიკათმცოდნის **ეგა პენსდროფშას** წერილი.

აი რას წერს იგი:

□ □

ერთ-ერთმა ნიჭიერმა ქართველმა კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა 1947 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. ამავე წელს მან შექმნა პირველი სიმფონია, ხოლო 1951 წელს სიმფონიური სუიტა. ნაყოფიერი ავტორის ნაწარმოებთა სია შეიძლება კიდევ განვაგრძოთ...

თავის პირველ კანტატაში კომპოზიტორი უმღერდა კავკასიის გმირებს. სიმფონიურ პოემა „მწირში“ კი მან ჯროგანი მიუზღო მ. ლერმონტოვს, რომელსაც მთელი მგზნებარებით უყვარდა კავკასია. თაქთაქიშვილს შემოხვევით როდი აურჩევია ლერმონტოვის პოემა „მწირი“, მგზნებარე აღსარება გმირისა, რომელიც თავისუფლებას ესწრაფვის, მაგრამ ადამიანები ეზიზღება და ღუპავს. მიუვალი მონასტრის ყრუ კედლებში გამომწყვდეული, თავისუფლებას მოწყურებული მთიელის სასოწარკვეთილება, მტრულ საზოგადოებასთან შეჯახება, ბრძოლის უშრეტი წადილი, ბოლოს კი დაღუპვა, — აი ის ფაქტ, რომელზეც აგებს კომპოზიტორი დიდი კონტრასტების მონუმენტურ შენობას. ლერმონტოვის ღრმა პოეტურმა ალეგორიამ თავისებური გადაწყვეტა ჰპოვა თაქთაქიშვილის პოემაში. ავტორის გააზრებას უფრო აძლიერებს ამ ნაწარმოების ტემპერამენტული შესრულება ორკესტრის მიერ.

სამწუხაროა, რომ ცუდი ჩაწერის გამო ძლიერ დაზიანებულია ნაწარმოების დასასრული, ხმა შესამჩნევად ირყევა მაღალ ტონებში.

ფირის მეორე მხარეზე ჩაწერილია ო. თაქთაქიშვილის კონცერტინო დ. ოისტრახის შესრულებით. იგი არა მარტო თაქთაქიშვილის შემოქმედების, არამედ აგრეთვე ოისტრახის საიუბილეო ხელოვნების საუცხოო ნიმუშია. ნაწარმოები ჩინებულად არის ინსტრუმენტებული და ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებს შემსრულებლებს. პირველი ნაწილი მეტყველი თემით მაღე გამაჯსოვრდება... გახირავა უშუალობით, ხოლო მეორე ნაწილი, რომლის წყარო ქართული ხალხური მელოდიებია, თავისი ორკესტრული პარტიით ხაბანერას მოგვაგონებს. ბოლოს. დასკვნითი ნაწილი მთელი ბრწყინვალებით გვიჩვენებს კომპოზიტორის საორკესტრო ოსტატობას და ოისტრახის ჯადოსნურ შესრულებას. მაღალია ჩაწერის ხარისხი.

ლირიკა, პოეზია

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ ამ დღეებში დაიბეჭდა რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ვიქტორინა კრიგერის** წერილი სამ საბალეტო კინოფილმზე („ბოლის ქოში“, „კუზიანი კვიცის ზღაპარი“ და „ვენეციელი მავრი“). აი რას წერს იგი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გამოშვებულ ფილმ-ბალეტ „ოტელოზე“, **რომელსაც ეკრანზე აჩვენებენ „ვენეციელი მავრის“ სახელწოდებით და დიდი მოწონებით ხვდებიან როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.**

— გავეცანით ახალ საბალეტო ფილმს „ვენეციელ მავრს“ ლენინური პრემიის ლაურეატის ვახტანგ ჯაფუკიანის დადგმით. ბევრს ახსოვს შესანიშნავი ბალეტი „ოტელო“.

ახალ ფილმში („ვენეციელი მავრი“) მნიშვნელოვნად გაფართოებულია ბალეტის მასშტაბი. ეკრანზე ჩვენ ვხედავთ სარდლის წარსულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამბებს, ბევრ ბატალურ სცენას, ორთაბრძოლას და სხვა ეპიზოდებს, რომლებიც ბალეტში ლაკონიურად არის ნაჩვენები. დიდი გაქანებით არის შექმნილი მასობრივი სცენები, შესანიშნავი ხალხური ცეკვები, მაღალხატვრული პოეზიით შთაგონებულია დეზდემონას და ოტელოს ქორეოგრაფიული დუეტები. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს სცენა, როცა იქვეთ შეპყრობილი ოტელო გრძნობადაკარგული ეცემა, ხოლო ცბიერი იაგო, როგორც შხამიანი გველი, ნელა მიეცოცდება მასთან, მკერდზე ადგამს ფეხს კეთილშობილ მავრს და მტაცებელი ფრინველის ბრჭყალებივით კრუნჩხავს მის თავზე თითებს, ბრწყინვალე დეტალია!

ახალ ფილმში, ისევე როგორც საბალეტო წარმოდგენაში, ვახტანგ ჯაფუკიანი გვიბიძგებს თავისი ნიჭით, სახის ჰუმანური გააზრებით, გვიხატავს არა იქვიან ოტელოს, არამედ დიდად კეთილშობილ, სპეტაკ ადამიანს, რომელიც მთლიანად ნებდება სიყვარულს.

ცბიერი იაგოს მახვილი სახასიათო სახე შექმნა ნიჭიერმა მსახიობმა ზ. კიკალეიშვილმა. ბევრი მზეურობა, სიფაქიზეა ვ. წოგნაძის დეზდემონაში. მაგრამ ამ ფილმის ყოველივე დადებითის აღნიშვნისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის ერთ ნაკლს — კადრების ელვისებური სისწრაფით ცვლას, რომლებსაც მაყურებელი გადაჰყავს ოტელოს ხან წარსულ, ხან ახლანდელ ცხოვრებაში. ცვალებადი სცენების კალეიდოსკოპი გვაბნევს, გვაშორებს ძირითად ხაზს, ანელებს მოვლენათა დრამატულ დაძაბულობას.

შეიძლება დავა საბალეტო ფილმების დადგმის მეთოდებზე, მაგრამ ერთი უეჭველია: ბალეტის ეკრანიზაცია დიდ განძად ჩაითვლება საბალეტო ხელოვნების ისტორიაში; მხოლოდ რამდენიმეს ხვდა წილად ბედნიერება დარჩენილიყო ზეპირ გადმოცემებში. განთქმული ბალერინებისა და მოცეკვეების ხელოვნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ისინი ისე მიდიან, როგორც სცენამიტოვებული მსახიობები. მხოლოდ ლეგენდები გადმოგვცემენ მათს ოსტატობას, მით უფრო, რომ წიგნები ჩვენს ქორეოგრაფებზე თითქმის არ მოიპოვება. ამ ხარვეზს შეავსებენ საბალეტო ფილმები.

სიახლეთა „დაბადება“

სამეცნიერო ლაბორატორიებში

ჩვენ წინ თეთრი აბრეშუმივით ნაზი ძაფებია, მაგრამ ისინი ჩვეულებრივი ქაღალდისათვის კი არ არის განკუთვნილი. ეს ე. წ. მინის ბოჭკოა, რომელსაც ახალი საშენებლო მასალის — მინაპლასტიკის წარმოებისათვის იყენებენ. მინაპლასტიკას ახასიათებს მაღალი მდგრადობა, სიმსუბუქე და ცეცხლგამძლეობა. მას დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს აგრეთვე ჩვენს ყოფაცხოვრებაში.

მინაპლასტიკის მისაღებად ცდები დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო საქართველოს საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მინის ლაბორატორიაში. ეს ლაბორატორია სულ სამეოდე წელია რაც არსებობს, მაგრამ ლაბორატორიის მეცნიერმა მუშაკებმა ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ კ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით ბევრი რამ გააკეთეს.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია მრავალი სახის მთის ქანებით, რომელთა დამუშავება შესანიშნავ საშენ მასალებს იძლევა. ბემოაღნიშნულ მინაპლასტიკასაც ადგილობრივი ნედლეულისაგან იღებენ.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა გასულ წელს ადგილობრივი მთის ქანების შესწავლით, როგორიც არის სურამის გრანიტი, გურიის ტრახიტი და სხვ., შეარჩიეს ისეთი ნედლეული, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს ბოთლის მინის წარმოებაში.

ბოთლის მინის მისაღებად საჭიროა კალცინირებული სოდის დამატება, რომელიც ჩვენში არ არის და დონბასიდან შემოაქვთ. საქართველოს მეცნიერ მუშაკთა მიერ შესწავლილი ნედლეულის გამოყენებით კი სოდის დამატება 50 პროცენტით შემცირდება, რაც წარმოებას დიდ ეკონომიას მისცემს. ამავე დროს ასეთი წესით მიღებული მინის ბოთლები გაციალებით მაღალი ხარისხისაა.

ახალი მასალის გამოყენებისათვის საჭიროა ღუმელი აშენდა ბორჯომის მინის ქარხანაში და კიდევაც მოიწყო ამ მასალის საქარხნო წესით გამოცდა, რამაც კარგი შედეგი აჩვენა.

ლაბორატორიაში მიიღეს აგრეთვე მეტად საინტერესო მეავეგამძლე საშენი მასალა — ე. წ. სხმული ქვა, რომელიც ადგილობრივი ბაზალტის ნედლეულიდან მზადდება.

სხმული ქვა მეავების მიმართ მდგრადია, კარგად უძლებს ხახუნს და ხშირ შემთხვევაში ლითონსაც ცვლის. ამიტომ ამ მასალას დიდი გამოყენება აქვს ქიმიურ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, წყალსადენებისა და საკანალიზაციო მილების წარმოებაში და ა. შ.

სხმული ქვის საწარმო ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მოსკოვში არსებობს. იგი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას ამ მასალაზე. სხმული ქვის მისაღები ნედლეული — ბაზალტი ბევრი მოიპოვება ჩვენში. მაგალითად, ჭათურისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში, ამიტომ ამ მასალის მისაღები საწარმოს აშენება საქართველოში დიდ ეკონომიას მისცემს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

ამჟამად საქართველოს მეცნიერ მუშაკთა მიერ დამუშავებული სხმული ქვის მასალა საექსპერიმენტოდ გაგზავნილია მოსკოვში.

ინსტიტუტის ლაბორატორიაში მუშაობენ ადგილობრივი ნედლეულისაგან ისეთი მინის მიღებაზე, რომელიც შეცვლის მაღალი ძაბვის იზოლატორებს. ამჟამად წარმოებაში მაღალი ძაბვის იზოლატორებისათვის გამოყენებულია ფაიფური, რომლის დამზადება გაცილებით [illegible] შემცველ [illegible] ... ...ბაგიდებზე სხვადასხვა ფერის მთის ქანები აწყვია. მათ მიკროსკოპით სინჯავენ, ურევენ ქიმიურ ხსნარებს, ამოწმებენ მიღებულ შედეგებს. აქ, მინის ამ პატარა ლაბორატორიაში იბადება ახალი, ძვირფასი ასაშენი მასალები.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: ინსტიტუტის მინის ლაბორატორიის გამგე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ელენე ფირცხალავა (მარცხნივ) და ინჟინერი არჩილ სარუხანიშვილი აწარმოებენ დაკვირვებას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სამი სიცოცხლე

შემთხვევები

ამას წინათ ქ. ზუგდიდში ჩაპაევის ქუჩაზე მიმავალ თეოფანე ბულიას ქალის კიბილი შემოესმა. ხმას მიაყვა და ალოონ ჩუხუას სახლში აღმოჩნდა, რომელსაც ხანძარი გასჩენოდა. თეოფანე არ დაბნეულა. ოთახში შეიჭრა, შავი კვამლის გამო ხელი ჭერდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. თ. ბულიამ ძლივძლივობით მიაგნო ბავშვს, რომლის ხმაც ოთახში შესვლისთანავე გაიგონა. ბავშვი აკვნიდან ამოიყვანა და გარეთ უნდა გამოსულიყო, რომ იქვე საწოლში მეორე ბავშვი შეამჩნია. საწოლს ცეცხლი მოსდებოდა. ბულიამ ბავშვები ხელი აიტაცა, ფანჯარასთან მიირბინა და დაჯსახმარებლად მოსულ მეზობლებს გადასცა. თვითონ კი კვლავ ოთახში შეიჭრა და ბავშვების დედას დაუწყო ძებნა, რომლის ხმა აღარ ისმოდა. მალე მასაც მიაგნო. ქალს ტანსაცმელზე ცეცხლი წაკიდებოდა და გრინობდაკარგული იატაკზე ეგდო. ბულიამ ქალი გარეთ გამოიყვანა. როდესაც სახანძრო რაზმი მოვიდა, სახლს უკვე მთლიანად მოსდებოდა ხანძარი. ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. სახლი დაიწვა. მაგრამ თ. ბულიას თავგანწირვამ დედისა და ორი ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა.

ვ. სანიძე.

„ვეფხვიანი“ ...

„ბოლიერ“ ...

„ბოლიერ“ ...

„ბოლიერ